

მარია ოლხოვიჩი- ნოვოსადიუკი

ლვოვის ივან ფრანკოს ეროვნული უნივერსიტეტი

სასაუბრო ენის სწავლება: სასწავლო პროცესის მართვა

აბსტრაქტი

სტატია ეხება სასაუბრო ენის სწავლების თავისებურებებს. სტატიაში გაანალიზებული იქნება განსხვავებული შეხედულებები ენის ბუნების შესახებ, ენის სწავლების თეორიებთან, სილაბუსთან და საკლასო აქტივობებთან კავშირში.

სტატიაში ნაკვლევა საკომუნიკაციო მეთოდოლოგია, იდენტიფიცირებულია მასწავლებლებისა და მოსწავლეების როლები საკომუნიკაციო მეთოდოლოგიასთან მიმართებით. გაანალიზებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების კონცეფცია სასწავლო პროცესის ფარგლებში.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც აგრეთვე განხილულია სასწავლო გეგმის შინაარსთან კავშირში - არის საჭიროებების ანალიზი, რაც კონტექსტუალურად უკავშირდება სასწავლო გეგმის მიზნებს. აქედან გამომდინარე, წარმოვადგენთ სამი ძირითადი მიდგომის თავისებურებებს საგანმანათლებლო პრინციპების, ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვების მეთოდისა და მიზნების გათვალისწინებით.

და ბოლოს, სტატია მიზნად ისახავს წარმოაჩინოს საკომუნიკაციო კურიკულუმის შეფასების კომპონენტი, აგრეთვე პრობლემები და პერსპექტივები საკომუნიკაციო მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით.

საძიებო სიტყვები: საკომუნიკაციო ენის სწავლება, საკომუნიკაციო მეთოდოლოგია, მოსწავლეზე ორიენტირებულობა, საკომუნიკაციო კურიკულუმი, საჭიროებების ანალიზი, კურიკულუმის შინაარსი, შეფასება, მეტაკომუნიკაცია.

შესავალი

ენის სწავლების დროს საყოველთაოდ აღიარებული და გაზიარებულია, რომ მნიშვნელოვანია ენის გამოყენება, ენისა, როგორც „წარმოსახვით-ფუნქციური“ ფორმის მქონე ელემენტისა. ენის სწავლების პროცესში

ასევე მხარდაჭერილია ენის სწავლების „საკომუნიკაციო მიდგომა“. წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს, განსაზღვროს საკომუნიკაციო ენის სწავლების თავისებურებები.

საკომუნიკაციო კურიკულუმი ენის შესწავლის მიზნად განიხილავს შემსწავლელის (ნებისმიერი სოციალურ-კულტურული ჯგუფის წევრის) მიერ ისეთი უნარების განვითარებას, რათა მან დაამყაროს კომუნიკაცია ჯგუფის დანარჩენ წევრებთან. სწორედ სოციალური კონვენციები განსაზღვრავს ენის ფორმას და თვისებას, რაც, თავის მხრივ, ენის სწავლის პროცესს უფრო ცენტრალიზებულს ხდის.

ყოველდღიური კომუნიკაცია არის ინტერპერსონალური, იდეატორული, ტექსტუალური ცოდნისა და მათი ურთიერთზემოქმედების სინთეზი. თუმცა, ეს ყველაფერი, ამავდროულად, დაკავშირებულია და ინტეგრირებულია ადამიანის ქცევის სხვა ფორმებთანაც. ენაში აზრების, შესაძლებლობების გაზიარება და განხილვა გულისხმობს პერცეფციებისა და კონცეპტების გამოყენებასა და მათ სრულყოფას. ეს, თავის მხრივ, შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს, დაინახოს ენის სწავლების ზოგადი მიზანი, როგორც მოსწავლის საკომუნიკაციო უნარების განვითარება

ინდივიდუალური და სოციალური განვითარების კონტექსტში.

1. საკომუნიკაციო ენის სწავლება

საკომუნიკაციო ენის სწავლების თეორია წარმოიშვა რამდენიმე განსხვავებულ მიდგომის საფუძველზე. 1970-1980 წლებში ლინგვისტიკმა და ენის პედაგოგებმა გადაწყვიტეს, გადაეფასებინათ ენის სწავლის პრაქტიკა, სწავლის თავისებურებებისა და სწავლის პროცესში მასწავლებლებისა და მოსწავლეების როლების გათვალისწინებით. შეპირისპირების თეორია, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ დაპირისპირება „ტრადიციულ“ და ენის კომუნიკაციურ სწავლებას შორის, წამოაყენა დევიდ ნუმანმა (1992). აღნიშნული შეპირისპირება ნათლადაა წარმოჩენილი ცხრილში #1. ცხრილი წარმოგიდგენს კონტრასტებს ენისა და სწავლის თეორიების ურთიერთმიმართებას შორის, აგრეთვე სასწავლო მასალების, საკლასო აქტივობების, მიზნების, სილაბუსისა და ენის სწავლის პროცესში ჩართული მასწავლებლისა და მოსწავლის როლების ურთიერთმიმართებებს.

ცხრილი 1

შეხედულებები ენისა და სწავლების თავისებურებების შესახებ

სწავლება	ტრადიციული	საკომუნიკაციო ენა
ენის თეორია	ენა არის იერარქიულად დალაგებული წესებისა და სტრუქტურების სისტემა.	ენა არის აზრის გამომხატველი სისტემა: პირველადი ფუნქციონირება ინტერაქცია.
სწავლების თეორია	წესების ფორმირება; უნარების	აქტივობები გულისხმობს რეალურ

	განვითარება უფრო ეფექტურია, როდესაც ვერბალურ ინფორმაციას წინ უსწრებს წერილობითი ინფორმაცია. ანალოგია არ განიხილება.	კომუნიკაციას; შინაარსობრივი დავალებების შესრულება და ენის გამოყენება ეხმარება მოსწავლეს ენის შესწავლაში.
მიზნები	ბგერების სტრუქტურის კონტროლი; ენის აღმნიშვნელების ფორმირება და მოწესრიგება.	მიზნები ასახავს ენის შემსწავლელის საჭიროებებს. ის მოიცავს პრაქტიკულ უნარებსა და ლინგვისტურ დამატებებს.
სილაბუსი	გრადუირებული სილაბუსი: ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი, შეპირისპირებითი ანალიზი.	სილაბუსი მოიცავს ჩამოთვლილიდან რამდენიმეს ან შესაძლოა ყველა მათგანს: სტრუქტურა, პრაქტიკული გამოყენება, ცნებები, თემები და დავალებები. მათი გრადაცია ხდება ენის შემსწავლელთა საჭიროებების გათვალისწინებით.
აქტივობები	დიალოგები და სავარჯიშოები; გამეორება და დამახსოვრება; ვარჯიში ნიმუშების მიხედვით.	მოსწავლეთა ჩართვა კომუნიკაციაში; კომუნიკაციის დროს ინფორმაციის გაზიარება, საკუთარი აზრის გამოხატვა და ინტერაქცია.
მოსწავლის როლი	მოსწავლე, როგორც ორგანიზმი, რომელსაც შეიძლება აჩვენო უნარების განვითარების ტექნიკა, სწორი პასუხების მიცემის მიზნით.	მოსწავლე, როგორც აზრის გამომხატველი, ინტერაქციის მონაწილე, როგორც რაიმეს მიმცემი, ასევე რაიმეს მიმღები.
მასწავლებლის როლი	ცენტრალური და აქტიური; მასწავლებლის დომინანტურობის მეთოდის გამოყენება; მასწავლებელი, როგორც სანიმუშო. მიმართულებებისა და სწავლების ფაზების წარმმართველი.	კომუნიკაციის პროცესის ფასილიტატორი, მოსწავლეთა საჭიროებების დამკვირვებელი და განმხილველი, მოსწავლეთა კონსულტანტი და პროცესის მენეჯერი.
სასწავლო მასალის როლი	უპირველესად მასწავლებელზე ორიენტირებული. თვალსაჩინო და ფორმალური. ხშირად გამოყენებული ენის ლაბორატორია.	საკომუნიკაციო ენის უმთავრესი როლი; დავალებებზე დაფუძნებული; ავთენტური მასალები.

წყარო: ნუნანი და ლამბი, 2001:31

იმის გაანალიზებამ, რომ საკომუნიკაციო ვიდრე სწავლის პროცესის ცალკეული პროცესი იყო უფრო მეტად ინტეგრირებული, კომპონენტები, წარმოშვა ენობრივი

განათლების დილემა. ეს ნიშნავდა, რომ დანიშნულება (მეტყველება სხვა ენაზე) და მიმართულება (მცდელობა, ისწავლო სამიზნე ენა) მიუახლოვდა ერთმანეთს და, უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში (მაგ. როლური თამაშების და სიმულაციების დროს) ისინი ერთმანეთისაგან ძნელად გასარჩევი გახდნენ. საგანმანათლებლო თვალსაზრისით, ენის შესწავლის პროცესში წარმოჩენილი დილემის გადაჭრის ყველაზე ხელსაყრელი გზა არის ძლიერი სტრუქტურისა და სუსტი სტრუქტურის მიდგომებით სწავლება. ძლიერი სტრუქტურის მიდგომა, როდესაც მასწავლებელს აქვს ძალა და კონტროლი. სუსტი სტრუქტურის მიდგომა, როდესაც ძალა და კონტროლი გადანაწილებულია მოსწავლეებზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არ ვათანაბრებთ ძლიერი სტრუქტურის მიდგომას არაკომუნიკაციურ სწავლებასთან, ხოლო სუსტი სტრუქტურისას - კომუნიკაციურ სწავლებასთან.

2. მეთოდოლოგია, როგორც საკომუნიკაციო პროცესი

ენის შესწავლის საკომუნიკაციო კურიკულუმი განიხილება, როგორც საკომუნიკაციო ინტერაქცია, რომელიც გულისხმობს პროცესში ყველა მონაწილე პირის ჩართულობასა და სასწავლო რესურსების მრავალფეროვნებას. გარდა ამისა, ენის შესწავლა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც პროცესი, რომელიც იქმნება მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის

ინტერაქციით, ტექსტებისა და აქტივობების კომბინირებულობით.

კომუნიკაციური ინტერაქცია შესაძლებელია იყოს მოსწავლის შესაძლებლობებისა და კომპეტენციების მობილიზება ერთობლივი მოლაპარაკებების, დანაწევრებული აქტისა და აზრთა გაზიარების კუთხით. კომუნიკაციურმა კლასმა შეიძლება იმუშაოს როგორც ფორუმმა, რომელიც ხასიათდება ზემოთ დასახელებული უნარების (ერთობლივი მოლაპარაკებების, დანაწევრებული აქტის, გაზიარების უნარების) სტიმულირებით, ცოდნის შეძენისა და კომპეტენციების განვითარების პროცესში. ეს სტიმულირების პროცესი დამოკიდებული იქნება განსხვავებული ტექსტების განსხვავებული საშუალებებით რანჟირებაზე. მაგალითად, ვერბალური, წერილობითი, ვიზუალური და აუდიო-ვიზუალური ტექსტები, რომელთა გამოყენებაც მოსწავლეს შეეძლება სხვადასხვა აქტივობებისა და სავარჯიშოების დახმარებით ენობრივი კომპეტენციების განვითარების მიზნით.

ინტერპრეტაციის, გამოხატვისა და მოლაპარაკებების საკომუნიკაციო უნარები არის უმთავრესი ანუ „პირველადი“ უნარები ნებისმიერი მიზნობრივი კომპეტენციის განსავითარებლად. ასე რომ, ისინი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული საკომუნიკაციო პროცესის განმავლობაში და ისინი თვისებრივად კომპლექსურია. საკომუნიკაციო პროცესი მოიცავს ფსიქოლოგიურ ასპექტებსაც, მაგალითად,

მათ შიგნით „მეორეულ“ უნარებიც ვუწოდოთ, ესენია: „კოდირება“. „კოდების შეცვლა“ და „სტილის ცვლადობა“ (ბერნშტაინი 1971, ჰიმესი 1971, ლებოვი 1972).

ამ საკომუნიკაციო უნარების გამოყენება აისახება საკომუნიკაციო პროცესში უნარების კომბინაციის სახით. საუბრის, მოსმენის, წერისა და კითხვის შესაძლებლობები შეიძლება განხილულ იქნას როგორც ინტერპრეტაციის, ექსპრესიისა და მოლაპარაკებების წარმოების ძირითადი უნარები. უნარები, ეს არის ძირითადი საკომუნიკაციო კომპეტენციებისა და საკომუნიკაციო პროცესის გადაკვეთის წერტილი. უნარები არის საშუალებები, რითაც ცოდნა და შესაძლებლობა გარდაიქმნება ქმედებად და პირიქით.

იმისათვის, რომ მხედველობაში იქნას მიღებული პერსონალური ინტერესები და მათი მრავალფეროვნება, მოსწავლეებს საშუალება უნდა მივცეთ, იმუშაონ ერთი ან მეტი საშუალების გამოყენებით, მათ შეუძლიათ იმუშაონ სხვადასხვა მიმართულებით: 1) შეუძლიათ წაიკითხონ წერილობითი ტექსტები, შეუძლიათ მოუსმინონ ვერბალურ ტექსტებს, ან 3) დააკვირდნენ და გააანალიზონ ვიზუალური ტექსტები. საკომუნიკაციო პროცესი არის მართული პროცესი, რომელიც ემყარება საერთო შეთანხმებებს, ხოლო თითოეული ტექსტის ტიპი გამოხატავს აღნიშნული საერთო შეთანხმებების თავისებურებებს.

საკლასო აქტივობების დროს მონაწილეები შეიძლება ჩაერთონ როგორც კომუნიკაციის, არეთვე მეტაკომუნიკაციის პროცესებში. მეტაკომუნიკაციურ პროცესში ჩვენ ვგულისხმობთ მოსწავლის ანალიზის, მონიტორინგისა და შეფასების უნარებს, რომლებიც სხვადასხვა ტექსტშია იმპლიციტურად მოცემული. ეს უნარები აღნიშნული ტექსტების შესადარებლად გამოიყენება. ამგვარი ტიპის მეტაკომუნიკაციური პროცესი, თავის მხრივ, იქცევა საკლასო კომუნიკაციის სოციოლინგვისტურ აქტივობად.

3. მასწავლებლისა და მოსწავლის როლი საკომუნიკაციო მეთოდოლოგიის ფარგლებში

საკომუნიკაციო მეთოდოლოგიის ფარგლებში მასწავლებელს აქვს ორი უმთავრესი როლი. უმთავრესია ფასილიტატორის როლი საკლასო საკომუნიკაციო პროცესში. აგრეთვე მნიშვნელოვანია მისი როლი საკომუნიკაციო პროცესის მონაწილეთას ტექსტებთან მუშაობისა და აქტივობებში ჩართვის დროს. მისი მეორე მთავარი როლია, ჩაერთოს როგორც დამოუკიდებელი მონაწილე მოსწავლემასწავლებლის გაერთიანებულ ჯგუფში. მასწავლებელი თამაშობს აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან როლებსაც, მაგალითად, მასწავლებელი, როგორც რესურსების ორგანიზატორი და მასწავლებელი, როგორც თავად რესურსი. მისი მოვალეობაა,

66 უხელმძღვანელოს საკლასო აქტივობებსა და

პროცედურებს. მისი, როგორც ხელმძღვანელის როლი უფრო არაპროგნოზირებადი და ცვალებადია: მასწავლებელი ხანდახან ამ როლს მოსწავლეებსაც უთმობს. აქედან გამომდინარე, მასწავლებელსა და მოსწავლეს შეუძლიათ როგორც ინფორმაციის მიწოდება, აგრეთვე უკუკავშირის მიღება სწავლა-სწავლების პროცესში. როგორც პროცესის გაძლიერებას, ასევე მონიტორინგის დროს, მასწავლებელს უნდა ჰქონდეს „პოტენციალის ამოცნობის/ წინასწარმეტყველების“ უნარი იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს და დაეხმაროს სწავლის პროცესში ჯგუფური ან ინდივიდუალური ცოდნისა და უნარების გამოუმუშავებას. ამ შემთხვევაში მასწავლებელი კონცენტრირებულია, გამოუმუშავოს მოსწავლეს კომპეტენციები.

მასწავლებლის მესამე როლი - მასწავლებელი, როგორც მკვლევარი. ის ხელს უწყობს სათანადო ცოდნისა და უნარების გამომუშავებას; არის თანამედროვე; აკვირდება ენის სწავლის პროცესის თავისებურებებს და აქვს ორგანიზატორული უნარები.

როგორც პროცესის ერთ-ერთმა მონაწილემ, მასწავლებელმა აქტიურად უნდა გაუზიაროს სწავლისა და სწავლების პასუხისმგებლობა მოსწავლეებს. მსგავსი ტიპის გაზიარება ამზადებს საფუძველს ერთობლივი გადაწყვეტილებებისა და მოლაპარაკებების წარმოებისათვის, რაც მასწავლებელს, თავის მხრივ, ხდის პროცესის თანამონაწილედ.

მეორე მხრივ, თითოეული მოსწავლე პირისპირ, მარტო დგას ამოცანასთან, აღმოაჩინოს და გაიგოს, *თუ როგორ ისწავლოს ენა*. თითოეული მოსწავლე, თავის მხრივ, თვითონ ირჩევს, როგორია მისი როლი სასწავლო პროცესში და პრიორიტეტებად ალაგებს სწავლის პერიოდში მისაღწევ მიზნებს.

მოსწავლეების როლი აგრეთვე დიდია მონიტორინგის პროცესშიც. მათ შეუძლიათ სუბიექტურად დააკვირდნენ საკუთარი სწავლის პროცესს. საკუთარი აზრის გამოხატვისა და დიალოგების მიმდინარეობის პროცესში მოსწავლე ითავისებს ორმაგ როლს: პირველი როლი, იყოს სხვა დანარჩენი მოსწავლეების პოტენციური მასწავლებელი და მეორე როლი - იყოს მასწავლებისათვის ინფორმაციის მიმცემი, მისცეს საშუალება მასწავლებელს, დააკვირდეს და გააანალიზოს სწავლების პროცესი.

2.2 მოსწავლეზე ორიენტირებულობა

მოსწავლეზე ორიენტირებულობის კონცეფციამ ბოლო წლებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. მოსწავლეზე ორიენტირებულობის ფილოსოფია მიჰყვება მკაცრად განსაზღვრულ ხაზს ემპირიული სწავლებების, ჰუმანისტური ფსიქოლოგიისა და სავარჯიშოებზე დამყარებული ენის სწავლების მიმართულებით. ცხრილი 2 გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება აისახოს მთელი კონტინუუმი სასწავლო პროცესის დარგში. კიდევ ერთხელ გამოვხატავთ ჩვენს

აზრს, რომ მოსწავლეზე ორიენტირებულობა არ არის არც „ყველაფერი“ და არც „არაფერი“. თუმცა, აღვნიშნავთ, რომ მისი დანერგვა

შესაძლებელია სწავლების სხვადასხვა საფეხურზე.

ცხრილი 2

სასწავლო პროცესში მოსწავლეზე ორიენტირებულობა

დონე	მოსწავლის ქმედება	შენიშვნა
1	ცნობიერების ამაღლება/ ინფორმირებულობა	მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს პედაგოგიურ სავარჯიშოებზე ორიენტირებული სტრატეგიის შედეგებს და მისთვის პრიორიტეტულ სწავლების სტილს/ სტრატეგიას.
2	ჩართულობა	მოსწავლეები აკეთებენ თავისუფალ არჩევანს.
3	ინტერვენცია	მოსწავლეები ახდენენ მოცემული სავარჯიშოების მოდიფიკაციას/ ადაპტირებას.
4	შემოქმედებითობა	მოსწავლეები თვითონ იგონებენ სავარჯიშოებს.
5	ტრანსცედენტალურობა/ ზღვრის გადალახვა	მოსწავლეები ხდებიან მასწავლებლები და მკვლევრები.

წყარო: ბრინი და კანდლინი 2001:170

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების კურიკულუმი მოიცავს ისეთ ელემენტებსაც, რომლებიც ტრადიციული მიდგომის კურიკულუმის ფაზების მსგავსია. მაგალითად, დაგეგმვა (მოიცავს საჭიროებების ანალიზს, მიზანს და რეალურ გარემოებებს), იმპლემენტაცია (მოიცავს მეთოდოლოგიისა და სასწავლო მასალების შექმნა-განვითარებას) და შეფასება. თუმცა, მთავარი განსხვავება მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებასა და ტრადიციულ მიდგომას შორის არის ის, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის მიხედვით, სასწავლო პროგრამა - ეს არის მოსწავლეებისა და მასწავლებლების ერთობლივი ძალისხმევა. ამიტომაც,

მასწავლებლები საჭიროებენ, სისტემატურად გამოიმუშაონ უნარები, რომლებიც უმნიშვნელოვანესია პედაგოგიკაში მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის დასაწინააღმდეგებლად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენის შემსწავლელი პროგრამა მიზნად უნდა ისახავდეს ორ რამეს: ენის სრულყოფილად სწავლებასა და ენის სწავლების პროცესს.

3. ენის სასწავლო გეგმის განვითარება

როგორც ცხრილი 3-დან ვხედავთ (წყარო: ნუნანი და ლამბი 2001) ენის სასწავლო გეგმის განვითარების პროცესში ყველაზე დიდი გავლენა აქვს საკომუნიკაციო ენის სწავლებას. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს რომ ენის სწავლების გეგმის შექმნა

უფრო მეტად რთული გახდა. მაშინ როცა ოცი-ოცდაათი წლის წინ სასწავლო გეგმაზე მუშაობის დროს ამოსავალი წერტილი იყო მოსწავლეთა დონის განსაზღვრა მათი ამჟამინდელი გამოცდილებისა და ცოდნის მიხედვით, საკომუნიკაციო ენის სწავლების გეგმაში ამოსავალი წერტილი არის ის, რომ გეგმა უნდა ასახავდეს მოსწავლის საკომუნიკაციო საჭიროებებსა და სწავლების პროცესს. კურიკულუმის შექმნის პროცესში მნიშვნელოვანია, იყოს უფრო მეტი ინფორმაცია მოსწავლეების საჭიროებების

შესახებ. კიდევ ერთი მთავარი ცვლილება არის ის, რომ საკომუნიკაციო სავარჯიშოები მოექცა სასწავლო გეგმის ცენტრალურ ნაწილში. მიუხედავად იმისა, რომ სავარჯიშოები მოიცავს და ასწავლის გარკვეულ ლექსიკურ, ფონოლოგიურ და მორფოლოგიურ საკითხებს, სავარჯიშოები ამავდროულად ასახავს მოსწავლეების საკომუნიკაციო საჭიროებებსაც. ენაზე ორიენტირებულ სავარჯიშოებს აღნიშნულ სასწავლო გეგმაში მეორე ადგილი უჭირავს.

ცხრილი 3

სასწავლო გეგმის ელემენტები	მენეჯმენტის საკითხები	
	High-structure contexts	Low-structure contexts
დაგეგმვის ფაზა კურსის მოფიქრება/დიზაინი	როგორ უნდა ვასწავლო სხვადასხვა ინსტიტუციების აზრის გათვალისწინებით? რა ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს ეფუძნება მასწავლებლის სახელმძღვანელო?	როგორ შევქმნა/ როგორ გავაადვილო ჩემი საკუთარი სიტყვები / მიზნები / სავარჯიშოები?
საჭიროებების ანალიზი	როგორ მოვახდინო ჩემი სტუდენტების სწავლის პრიორიტეტების იდენტიფიცირება?	როგორ ჩავრთო ჩემი მოსწავლეები საჭიროებების იდენტიფიცირების პროცესში?
კოლეგიალობა	როგორ ვითანამშრომლო კოლეგებთან კურსის დაგეგმვის პროცესში? როგორ მივიღო უფრო მეტი ინფორმაცია კოლეგების შეხვედრების დროს? შესაძლებელია თუ არა კოლეგების შეხვედრებმა ხელი შეუწყოს ეფექტურ დაგეგმარებას?	რა შესაძლებლობები არსებობს ერთობლივი / ჯგუფური სწავლების დროს?
რესურსები	როგორ მოვახერხო კომპლექსური ტექსტების გამოყენება?	როგორ მოვახდინო ტექსტის მოდიფიკაცია / ადაპტირება?

		როგორ შევექმნა / მოვიფიქრო ჩემი საკუთარი რესურსები? როგორ შევექმნა დანაწევრებული ინფორმაციის მომცველი სავარჯიშოები? იქნება თუ არა ეს სავარჯიშოები ეფექტური ამ კონტექსტში?
დანერგვის ფაზა საუბარი / ინტერაქცია	სწორად სწავლების რა ეფექტური სტრატეგიები არსებობს? როგორ დავაფიქსირო უკუკავშირი ძლიერი სტრუქტურის მიდგომის სავარჯიშოებში?	გამოკითხვის რა სტრატეგიები უადვილებს მოსწავლეს საქმეს სუსტი სტრუქტურის მიდგომის სავარჯიშოების შესრულებისას? როგორ დავაფიქსირო უკუკავშირი სუსტი სტრუქტურის სავარჯიშოებში? რა ტიპის გამოკითხვა ზრდის მაქსიმალურად მოსწავლის პროდუქტულობას?
მოსწავლის ენა	როგორ შევასწორო მოსწავლის შეცდომები?	როგორ წარმოვადგინო ენის მოდელები პატარა ჯგუფებში როლური თამაშების დროს, სადაც მთავარი ფოკუსი იქნება შეხედულებებისა და აზრების გაცვლაზე?
მოსწავლის ატიტუდები		როგორ მოვაგვარო ჯგუფში კონფლიქტები? როგორ ვიმოქმედო მოსწავლეების წინააღმდეგობის შემთხვევაში, თუ მათ არ ენდობებათ მოსწავლის ინიცირებულ სავარჯიშოებში მონაწილეობა?
ჯგუფის კონფიგურაცია	როგორ გავუწიო ორგანიზება კონტროლირებად პრაქტიკულ დავალებებს? როგორ გამოვიყენო სწავლების მოდელი ეფექტურად, სადაც მასწავლებლის როლი დომინანტურია?	როგორ შევექმნა პატარა ჯგუფები? საკომუნიკაციო დავალებების რა მიდგომები არსებობს, სადაც მოსწავლეები შეძლებენ იმუშაონ დამოუკიდებლად?
შეფასების ფაზა	რომელი მეთოდოლოგია შეიძლება	როგორ დავეხმარო ჩემს

მოსწავლის შეფასება	დამეხმაროს ჩემი მოსწავლეებს მიღწევების შეფასებაში?	მოსწავლეებს თვითშეფასების ეფექტური მეთოდოლოგიის შემუშავებაში?
სასწავლო პროცესის თვითშეფასება		
ფორმალური შეფასება		რამდენად შეიძლება განვითარდნენ მოსწავლეები შეფასების პროცესში ჩართულობით?

და ბოლოს, კურიკულუმის შემუშავების პროცესი შეიძლება შევადაროთ მოსწავლეების, ენისა და სწავლის პროცესის შესახებ ინფორმაციებით ფოკუსების ჩვენების აქტს.

3.1. მიზნების დასახვა

საჭიროებების ანალიზი ქმნის საფუძველს დავსახოთ მიზნები და გამოვკვეთოთ მიზნის მიღწევის საშუალებები. არსებობს საჭიროებების ანალიზის სამი განსხვავებული მიდგომა.

ბრინდლი (1989) ამ მიდგომებს ენობრივი მოხერხებულობის ორიენტაციას, ფსიქოლოგიურ / ჰუმანისტურ ორიენტაციასა და მიზნობრივ ორიენტაციას უწოდებს. ეს სამი მიდგომა დიფერენცირებულია საგანმანათლებლო ახსნა-განმარტებების, ინფორმაციის შეგროვების ტიპისა და ინფორმაციის შეგროვების მიზნის მიხედვით. აღიშნული სამი მიდგომის გამოკვეთილი თავისებურებები წარმოდგენილია ცხრილში 4 (წყარო: ბრინდლი 1989: 67-69).

ცხრილი 4

საჭიროებების ანალიზის სამი მიდგომა

ენის ფლობის ორიენტაცია	ფსიქოლოგიურ/ ჰუმანისტური ორიენტაცია	განსაზღვრული მიზნის ორიენტაცია
<i>მთავარი საგანმანათლებლო პრინციპი</i> მოსწავლეები უფრო ეფექტურად სწავლობენ ჯგუფებში, რომლებიც ენის ფლობის დონეების მიხედვითაა ჩამოყალიბებული.	მოსწავლეები უფრო ეფექტურად სწავლობენ, როდესაც ჩართულები არიან სასწავლო პროცესში.	მოსწავლეები უფრო ეფექტურად სწავლობენ, როდესაც შინაარსი რელევანტურია მათი საჭიროებებისა და ინტერესების.
<i>ინფორმაციის ტიპი</i>		ინფორმაცია მშობლიურ ენაზე

ენის ფლობა/ ენობრივი სირთულეები	ატიტუდები, მოტივაცია, ენის სწავლების სტრატეგიების პრიორიტეტულობა.	მოლაპარაკე ადამიანის შესახებ ენის შემსწავლელთა საკომუნიკაციო გარემოში.
შეგროვების მეთოდები სტანდარტიზებული ტესტები/ ფორმები; დაკვირვება	სტანდარტიზებული ტესტები; დაკვირვება, ინტერვიუ, განხილვა.	ენობრივი ანალიზი; მოსწავლეების მიერ ენის გამოყენების მაგალითების განხილვა.
მიზანი მოსწავლეები შეიძლება გადანაწილდნენ ენის ფლობის ჰომოგენურ ჯგუფებში; მასწავლებლებმა ენის სწავლების შეიძლება დაგეგმონ მოსწავლეების ენის ფლობის დონის რელევანტურად.	მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები სეიზლება გამოიხატოს დებატების/ მსჯელობების დროს. მოსწავლეებს შეიზლება დაეხმარათ სწავლის პროცესში გადაწყვეტილების მიღების დროს დამოუკიდებლობა.	მოსწავლეების საკომუნიკაციო მიზნებთან რელევანტური იქნება მათი ენობრივი მონაცემები. მოტივაცია გაიზრდება ენობრივი შინაარსის გაზრდის პარალელურად.

ერთად თავმოყრილი საჭიროებების ანალიზის მთავარი მიზანია მოსწავლეთა კატეგორიზაცია და დაჯგუფება. დაჯგუფების პროცესი ამარტივებს სწავლის პროცედურების თავისებურებებს.

მიზნები და გარემოებები ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია საგანმანათლებლო კონტექსტში, რადგან ისინი უზრუნველყოფენ პედაგოგიური სავარჯიშოების სელექციისა და ინტეგრირების საფუძველს. გარდა ამისა, მიზანი გვამძლევს რეკომენდაციას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

თავისებურებების ეს საინტერესო ჯაჭვი ჩამოაყალიბა ავსტრალიელმა სკარინო ეთ ალმა 1988 წელს. თავისებურებების ამ ჯაჭვს „ავსტრალიური ენის დონეების სახელმძღვანელო“ უწოდეს. ამ სახელმძღვანელოს შექმნის მიზანი იყო, დახმარებოდა მასწავლებლებს უცხო ენის ან მეორე ენის სწავლების დროს. „ავსტრალიური ენის დონეების სახელმძღვანელო“ მოიცავს რამდენიმე ზოგად მიზანს, რომელიც შემდგომ ჩაშლილია კონკრეტულ მიზნებად. აღნიშნული მიზნები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში (წყარო: სკარინო, 1988).

კომუნიკაციისა და ვისწავლოთ „თუ როგორ ვისწავლოთ“ მიზნები

ზოგადი მიზანი	კონკრეტული მიზნები
<p><i>კომუნიკაცია</i></p> <p>ენის გამოყენების მიზნით ორგანიზებულ აქტივობებში მონაწილეობით მოსწავლეები განივითარებენ საკომუნიკაციო უნარებს ისე, რომ ისინი განავრცობენ ქსელებს ინტერპერსონალური ურთიერთობებისათვის. მათ აგრეთვე შეუძლიათ გაცვალონ ინფორმაცია და გამოიყენონ ენობრივი შესაძლებლობები სწავლისათვის ან დასვენებისა და გართობის მიზნით.</p>	<p>შემდონ გამოიყენონ ენა:</p> <ul style="list-style-type: none"> - ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და მისი შენარჩუნებისათვის, ინტერესების შესახებ დისკუსიებში მონაწილეობისათვის (მაგ. ინფორმაციის, იდეების, განწყობების, გამოცდილებების, გეგმებისა და აზრთა გაცლა-გამოცვლის პროცესში); - მონაწილეობა სოციალურ ინტერაქციაში, რომელიც უკავშირდება პრობლემების გადაჭრის, გადაწყვეტილებების მიღების საკითხებს. ქმედება იმისათვის, რომ მიიღოს სარგებელი, მომსახურება ან საჯარო ინფორმაცია; - ინფორმაციის ამოღება წერილობითი ან ვერბალური ტექსტიდან მისი დეტალური დამუშავების დროს. მიღებული ინფორმაციის გადამუშავება და გამოყენება; - ინფორმაციის მიწოდება წერილობითი ან ვერბალური ფორმით (მაგ. საუბრის დროს, ესეს დაწერის ან ინსტრუქციების მიცემის დროს); - მოსმენა, კითხვა ან ტექსტის განხილვა, ასევე სტიმულზე ინდივიდუალური რეაგირება (მაგ. მოთხრობა, მხატვრული ფილმი, სიმღერა, ლექსი, ნახატი, თამაში);
<p><i>ვისწავლოთ - „თუ როგორ ვისწავლოთ“</i></p> <p>მოსწავლეებში იზრდება პასუხისმგებლობა, მართონ საკუთარი სწავლის პროცესი და ისწავლონ „ თუ როგორ ისწავლონ ენა“ .</p>	<p>იმისათვის, რომ განვახილოთ:</p> <ul style="list-style-type: none"> - კოგნიტური უნარები (შემდოს გაიგოს ღირებულებები, გამოიცნოს ატიტუდები, გაიზიაროს გრძნობები, იფიქროს და უპასუხოს კრეატიულად); - სწავლის - „თუ როგორ ვისწავლოთ“ - უნარები; - კომუნიკაციის სტრატეგიები (შემდოს დაამყაროს კომუნიკაცია მოცემულ ენაზე).

სასწავლო კურიკულუმების უმეტესობა, რომლებიც ეფუძნება მიზნებსა

და მიზნების მიღწევის საშუალებებს, თავის თავში მოიცავს მცირე რაოდენობით

კონკრეტულ ამოცანებს, რომლებიც ზოგადი მიზნის მიღწევის რეალური საფუძველია. ზოგადი მიზნები მიუთითებს, თუ რისი გაკეთება უნდა შეეძლოს მოსწავლეებს სწავლის დასრულების შემდეგ. ზოგადი მიზნები უნდა აერთიანებდეს მოქმედებას, გარემოებებსა და სტანდარტებს.

3.2. საკომუნიკაციო მეთოდოლოგიის შინაარსი

საკომუნიკაციო კურიკულუმმა უნდა მოახდინოს შინაარსის შერჩევისა და სტრუქტურირების კრიტერიუმების ადაპტირება, რაც განსაზღვრავს და გავლენას მოახდენს საკომუნიკაციო ენის სწავლა-სწავლების პროცესზე. ნებისმიერი კურიკულუმის შინაარსი შეიძლება დაეფუძნოს რამდენიმე ადაპტირებულ კრიტერიუმს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ქვემოთ ჩამოთვლილ ხუთ მნიშვნელოვან ასპექტს ითვალისწინებდეს: ფოკუსს, შედეგს, ქვედანაყოფებს, თანამიმდევრულობას, მიმართულებას.

საკომუნიკაციო მეთოდოლოგიის შინაარსი ფოკუსირებულია ცოდნაზე, როგორც კოგნიტურ, ასევე შეგრძნებით/ემოციურ ცოდნაზე, რომლებიც მოსწავლისათვის ინდივიდუალური სიგნიფიკანტებია. ასეთი ცოდნა შეიძლება განვიხილოთ ინტერპერსონალურ კონტექსტში. მას შეუძლია მოტივირება გაუკეთოს ინდივიდუალური და ზოგადი აზრის ჩამოყალიბებას ავთენტური და პრობლე-

მატური საკითხების მომცველ ტექსტებში. თუ სასწავლო გეგმის შინაარსი სწავლის პროცესში გამორჩევა სენსიტიურობით და ჯგუფში კი - ინტერპერსონალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, მაშინ მას ესაჭიროება ადამიანის გამოცდილებისა და ქცევების სხვადასხვა ფორმისა და ენის ინტეგრაციით მხარდაჭერა.

ტრადიციულად, კურიკულუმის შინაარსი მოიცავს სტრუქტურებისა და „ფუნქციების“ სერიულ კატეგორიებს. შინაარსი გახმოვანებულია აქტივობებსა და სავარჯიშოებში, სადაც ორივე, ცოდნაც და უნარებიც გამოყენებულ უნდა იქნეს მოსწავლის კომუნიკაციურ და მეტაკომუნიკაციურ პროცესებში.

საკომუნიკაციო მეთოდოლოგიის ფარგლებში თანამიმდევრულობა შეიძლება განვიხილოთ ოთხი მიმართულებით.

- 1) თანამიმდევრულობა შეიძლება იყოს თითოეულ აქტივობასა და დავალებაში.
- 2) თანამიმდევრულობა პოტენციურად მოცემულია საკომუნიკაციო აქტის დროს.
- 3) თანამიმდევრულობას აგრეთვე უზრუნველყოფს იდეების ფორმირებისა და აღქმის სისტემა. მაკრო დონეზე მოსწავლე შეიძლება ჩაწვდეს საკითხის თანამიმდევრულობას, მაშინ, როცა მიკროდონეზე მოსწავლე ახდენს მხოლოდ კონცეპტუალური და წარმოსახვითი თანამიმდევრულობის აღქმას.
- 4) თანამიმდევრულობა აისახება აგრეთვე უნარების და შესაძლებლობების რეპერტუარში, აგრეთვე უნარების გამოყენების

ციკლში, აქტივობების დროს. საკომუნიკაციო მეთოდოლოგიამ შეიძლება თანამიმდევრულობის ოთხივე ზემოთ განხილული მიმართულება განიხილოს და გამოიყენოს ჯგუფურად, როგორც თანამიმდევრულობათა მცირე დაჯგუფება. ან ერთ-ერთი მათგანი, როგორც ცალკე აღებული. თანამიმდევრულობის ეს სახეები ორ მნიშვნელოვან უპირატესობას უზრუნველყოფენ: ისინი ეხმარებიან მოსწავლეებს კომპეტენციების განვითარების, ცოდნის მიღებისა და უნარების გამომუშავების პროცესში; თანამიმდევრულობა აგრეთვე ხელს უწყობს დიფერენციაციის პროცესს.

3.3. სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესის შეფასება

საკომუნიკაციო კურიკულუმი მოითხოვს კომუნიკაციური ინტერაქციის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი მიენიჭოს შეფასებას. საკომუნიკაციო პროცესს, რომელიც ემყარება აზრთა ურთიერთგაზიარებასა და შეთანხმებას ჩვენ ვაფასებთ „გრამატიკული“, „სისწორის/ავთენტურობის“, „გარჩევადობის“ და „კოჰეზიური“ თვალსაზრისით.

შეფასების საკომუნიკაციო გამოყენება ყურადღებას ამახვილებს მიმდინარე შეფასებაზე. ამავე დროს, შემაჯამებელი ან საბოლოო შეფასება შეიძლება ეფუძნებოდეს რომელიმე კონკრეტულ კრიტერიუმს. გარდა ამისა, შეფასების მნიშვნელოვანი თავისებურებები აღწერილი უნდა იყოს საკომუნიკაციო კურიკულუმში, ვინაიდან

შეფასება მჭიდროდაა დაკავშირებული სწავლა-სწავლების საკომუნიკაციო პროცესთან. ამ შემთხვევაში შეფასება მოქმედებს ორმხრივად: 1) ის აფასებს მოსწავლის პროგრესს სწავლის პროცესში და 2) აფასებს სასწავლო კურიკულუმის მიზნების მიღწევას.

დასკვნა

საკომუნიკაციო კურიკულუმი აუცილებლად უნდა იყოს: აქტუალური დროსა და სივრცეში, იყოს ღია და ემყარებოდეს თანამედროვე თეორიებს, კვლევებსა და კლასში მუშაობის პრაქტიკულ გამოცდილებას. საკომუნიკაციო კურიკულუმში არის ცვალებადობის განსაზღვრის არსებითი საშუალება. ცვალებადობა შეიძლება აისახებოდეს მიზნებში, მეთოდებსა და შეფასების პროცედურებში. ცვალებადობა აგრეთვე შეიძლება ნიშანდობლივი იყოს საკომუნიკაციო პროცესისთვისაც, ვინაიდან კომუნიკაცია მყარდება ერთმანეთისაგან განსხვავებული მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის. კლასის სოციალურ-ფსიქოლოგიური რეალობა, მისი პროცედურები და აქტივობები წარმოადგენს საკომუნიკაციო გარემოს, სადაც მთელი ძალისხმევით შეწყობილად მუშაობს ეს აღნიშნული ცვალებადობა. კლასში სწავლა-სწავლების პროცესი არის სასწავლო კურიკულუმის ყველა კომპონენტის ამოსავალი წერტილი, ხოლო საკლასო ოთახი ის ადგილია, სადაც თითოეული კომპონენტის თანამიმდევრულობა მუდმივად დასტურ-

დება. სწავლა-სწავლების პროცესი არის აგრეთვე კატალიზატორი იმ მინიმალური საჭიროებებისა, რომლებიც უნდა აისახოს სამომავლოდ კურიკულუმში, მისი განვითარების და დახვეწის თვალსაზრისით.

საკომუნიკაციო კურიკულუმი, რომელიც საკომუნიკაციო პროცესში ყურადღებას ამახვილებს სწავლასა და სწავლებაზე, აგრეთვე ხაზს უსვამს კურიკულუმის კომპონენტების ღიაობასა და მზაობას, განიცადოს ცვლილებები.

ტრადიციულად, მოსწავლეებს აქვთ მოლოდინი, მიჰყვნენ შინაარსში იმპლიციტურად გადმოცემულ მითითებებს. საკომუნიკაციო მეთოდოლოგია არ განიხილავს კურიკულუმს, როგორც წინასწარ-განსაზღვრულ მიმართულებას კონკრეტული, განსაზღვრული ელემენტებით. ასეთ შემთხვევაში, კურიკულუმი სწავლა-სწავლების პროცესის ფარგლებში არ ექცევა

გარეგანი კონტროლის ზემოქმედების ქვეშ. საკომუნიკაციო მეთოდოლოგიის პროცესში არჩეული მიმართულებები ხდება კურიკულუმის შემადგენელი ნაწილი და მოიცავს ურთიერთობებს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, მოსწავლესა და ტექსტს შორის.

საკომუნიკაციო მეთოდოლოგია კლასს განიხილავს, როგორც საკუთარი საკომუნიკაციო პოტენციალის მქონე რესურს. კლასი - ეს მხოლოდ ერთი რესურსია ენის სწავლების პროცესში. თუმცა კლასი აგრეთვე არის გადაკვეთის წერტილი ისეთი რესურსებისა, როგორებიცაა: მოსწავლეები, მასწავლებლები და ტექსტები. თითოეულ მათგანს გააჩნია საკმარისად განსხვავებული მახასიათებლები იმისათვის, რომ საკლასო შეთანხმება / მოლაპარაკებები იქცეს საკომუნიკაციო საჭიროებად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბერნშტეინი, 1971 - Bernstein, B. 1971. *Class, Codes and Control*. London: Routledge and Kegan Paul.
- ბრინი, 2001 - Breen, M.P. and Candlin, C.N. 2001. *The Essentials of a Communicative Curriculum in Language Teaching*. Eds. D.R.Hall, A.Hewings. *Innovation in English Language Teaching. A Reader*. London and New York in association with Macquarie University and The Open University, pp.9– 26.
- ბრინდლი, 1989 - Brindley, G., 1989. *Assessing Achievement in a Learner-Centered Curriculum*. Sydney: NCELTR.
- ჰოლიდეი, 1973 - Halliday, M. A. K., 1973. 'The functional basis of language' in Bernstein, B. (ed.) *Class, Codes and Control, Volume 2: Applied Studies towards a Sociology of Language*. London: Routledge and Kegan Paul.
- ჰიმესი, 1971 - Hymes, D., 1971. 'On communicative competence' in Pride, J. and Holms, J. (eds.) *Sociolinguistics*. Harmondsworth: Penguin Books, 1972.
- ლაბოვი, 1972 - Labov, W. 1972. *Sociolinguistic Patterns*. Philadelphia, PA: University of Pennsylvania Press, pp.122-159.
- ნუნანი, 1986 - Nunan, D. and G. Brindley. 1986. *The learner-centered curriculum in theory and practice*. Paper presented at the Annual TESOL Convention, Anaheim, April 1986.
- ნუნანი, 1988 - Nunan, D. 1988. *The Learner Centered Curriculum*. Cambridge: Cambridge University Press.
- ნუნანი, 1989 - Nunan, D. 1989. *Designing Tasks for the Communicative Classroom*. Cambridge: Cambridge University Press.
- ნუნანი, 1992 - Nunan, D. 1992. *Research Methods in Language Learning*. New York: Cambridge University Press.
- ნუნანი ლამბი, 2001 - Nunan, D. and C. Lamb. 2001. *Managing the learning process*. Eds. D.R.Hall, A.Hewings. *Innovation in English Language Teaching. A Reader*. London and New York in association with Macquarie University and The Open University, pp.27-45.
- სკარინო, 1988 - Scarino, A., D. Vale, P. McKay and J. Clark. 1988. *Australian Language Levels Guidelines*. Canberra: Curriculum Development Centre.